უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 5

ქ. თბილისი **06.06.2017**

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მაგდა მაღრაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო" (MCA – Georgia) აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
დავით აფრასიძე ევროკავშირის პროექტი - „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება" პროექტის მენეჯერი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
მიხეილ ჩხენკელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
ნოდარ შურღაია - შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთი ცოტნიაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
მარიამ შოშიაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ნატალია ბარათელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ია ერაძე - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის დირექტორი;
მანანა მახარაშვილი - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ანზორ ბერიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მამუკა გოგელია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ციური დურული;
ნატალია ბარათელი.

სხვა დამსწრე პირები:

მამია ჯანჯალია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით საბჭოს მოწვეული წევრი.
მაია ჩიხლაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით საბჭოს მოწვეული წევრი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 13:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ მამია ჯანჯალია და მაია ჩიხლაძე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. გამომდინარე იქიდან, რომ პირველი საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მიხეილ ჩხენკელს ექნებოდა თვითაცილება და საბჭოს სხდომაზე წინასწარი მონაცემებით მოსვლას აპირებდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით აფრასიძე, საბჭომ ერთხმად დღის წესრიგის პირველ საკითხად გადმოიტანა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა. შესაბამისად, დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციური დურულმა.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტი განხორციელდა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში. ციური დურულის თქმით, ვიზიტის დროს მათ შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული პროგრამებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები, ასევე, მათ დაათვალიერეს საწარმოო პრაქტიკის ორი ობიექტი.

ციური დურულის თქმით, საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA ახორციელებს 17 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, აქედან 13 იყო პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი (საგნობრივი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. მათგან საბაჟო ბროკერის მესამე საფეხურის (საგნობრივი) პროგრამა იყო ინგლისურენოვანი. საგანმანათლებლო პროგრამებს ახლდა შესაბამისი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები), რომლებიც შედგენილი იყო მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები საბაჟო ტერმინალებთან ბათუმსა და რუსთავში, „ტერაბანკთან", „ემბავუდთან", „მაკოტერმინალთან" და შპს "G.B. აუდიტთან".

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით აფრასიძე.

ციური დურულის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევითი წესით განახორციელა ვიზიტი აკადემიის ორ პარტნიორ დაწესებულებაში, ესენი იყო: „ემბავუდი" და „ტერაბანკი". ექსპერტის განცხადებით ორივე დაწესებულებამ გამოხატა მზაობა აკადემიასთან სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში მონაწილეობის მიღებაზე და აღნიშნეს, რომ მათ აკადემიასთან ჰქონდათ წარმატებული ურთიერთანამშრომლობის გამოცდილება.

დაწესებულების დირექტორმა საბჭოს განუცხადა, რომ საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - იმ ჩაატარა დასაქმების ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ისეთმა კომპანიებმა, როგორიც იყო: „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი", „ვაისი", და დასაქმების სააგენტო ეიჩარი.

ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსზეც. მისი განცხადებით, აკადემია ქ. თბილისში, საკუთრების უფლებით ფლობდა რუსთავის გზატკეცილ N18-22-ში არსებულ 1990.54 კვ.მ. შენობა-ნაგებობას. სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები აღჭურვილი იყო ყველა საჭირო ინვენტარით და სხვადასხვა საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. ციური დურულის განცხადებით, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის

სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში, მოდულებში) მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყო დაწესებულების ბიბლიოთეკაში ბეჭდურ ან/და ელექტრულ მატარებლებზე. ასევე, ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე აღნიშნა, რომ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის უზრუნველსაყოფად აკადემიას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება „ტირი ინტეგრირების საგანმანათლებლო ქსელთან".

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას აღნიშნულ მისამართზე ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. გარედან შენობაში შესასვლელად გაკეთებული იყო პანდუსი, ასევე ფუნქციონირებდა ადაპტირებული სველი წერტილი.

ციური დურულმა სხდომაზე ასევე, ისაუბრა ადამიანურ რესურსზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკადემიის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს. მან აქვე დაამატა, რომ აკადემია მუდმივად ზრუნავდა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ცოდნის განახლებაზე. რაც შეეხებოდა სტრატეგიულ გეგმას, ციური დურულის განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა 4 წლიანი სამოქმედო და 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომლებსაც თან ერთვოდა გაზომვადი შეფასების კრიტერიუმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მაგდა მაღრაძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა თუ რითი გამოირჩეოდა საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA სხვა კოლეჯებისგან და ასევე რა იყო 17 პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზანი .

დაწესებულების დირექტორმა ია ერაძემ სხდომაზე განაცხადა, რომ კოლეჯი ორიენტირებული იყო ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროგრამის განვითარებაზე, აქვე დაამატა რომ კოლეჯი საბაკალავრო პროგრამების მიმართულებით თანამშრომლობდა სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, დაწესებულებას ჰქონდა ყველა ის რესურსი, რომ განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოზე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულმა წევრებმა - მამაია ჯანჯალიამ და მაია ჩიხლაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის (ს/კ: 406037550) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა მიხეილ ჩხენკელმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციური დურულმა.

ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ მონიტორინგის განხორციელების მიზეზი იყო დაწესებულების მომართვა, რომლის მიხედვითაც, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სურდა ქ. ქუთაისში მდებარე ფართზე განეხორციელებინა მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (კრედიტის რაოდენობა: 60 კრედიტი; კვალიფიკაცია: მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია). ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას ახორციელებდა ქ. თბილისში არსებულ სასწავლო ფართზე. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა იმ მიზნით, რომ გადამოწმებულიყო რამდენად ჰქონდა უნივერსიტეტს რესურსები წარმოდგენილი პროგრამა განეხორციელებინა ქ. ქუთაისშიც.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტი განხორციელდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო ცენტრში. ციური დურულის თქმით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი იყო, სამედიცინო პერსონალის მომზადება სამკურნალო, სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მიმართულებით. მისივე განცხადებით, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო მასაჟისტის მესამე საფეხური, ხოლო, პროგრამის მოცულობა შეადგენდა 60 კრედიტს. ექსპერტმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ვიზიტის დროს გადამოწმდა ქუთაისში არსებული ადამიანური და ტექნიკური რესურსები. ასევე, მათ დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტებიც. ციური დურულის თქმით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები ინდმეწარმეებთან - სასწავლო ცენტრი „სერაფიტი“ და „მასაჟისტის კაბინეტი“. ექსპერტის განცხადებით, ორივე პრაქტიკის ობიექტი აღჭურვილი იყო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, თანამედროვე აღჭურვილობით, სხვადასხვა სახის მასაჟისთვის განკუთვნილი კაბინეტებითა და სასწავლო აუდიტორიებით.

ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე ისაუბრა დაწესებულების ქუთაისში მდებარე მატერიალურ რესურსზეც. მისი განცხადებით, ქუთაისის სასწავლო ცენტრი, რომლის ფართიც განსაზღვრული იყო 3856,6 კვ.მ. წარმოადგენდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებას. ექსპერტის განცხადებით, დღესდღეობით კეთილმოწყობილი იყო

აღნიშნული ფართის პირველი და მეორე სართულები. საერთო ფართიდან დღესდღეობით სასწავლო მიზნით გამოიყენებოდა - 1830.4 კვ.მ. ფართი, რომელიც აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით და კომპიუტერული ტექნიკით. მასაჟისტის პროფესიული პროგრამისთვის სპეციალურად გამოყოფილი იყო აუდიტორია, რომელიც ასევე უზრუნველყოფილი იყო ინვენტარით, მაგიდებით, სკამებით და კომპიუტერული ტექნიკით. სასწავლო პრაქტიკის განსახორციელებლად ასევე მომზადებული იყო მასაჟისტის სპეციალური კაბინეტიც.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას აღნიშნულ მისამართზე ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. გარედან შენობაში შესასვლელად გაკეთებული იყო პანდუსი, ასევე ფუნქციონირებდა ადაპტირებული სველი წერტილი.

მაგდა მაღრაძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა თუ რა იყო პროგრამის ქუთაისში განხორციელების მიზანი და რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას აპირებდა აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჩატარებული ჰქონდათ ბაზრის კვლევა, საიდანაც დაადგინეს რომ იმერეთის რეგიონში, განსაკუთრებით ქუთაისში დიდი მოთხოვნა იყო აღნიშნულ პროგრამაზე და ისინი აპირებდნენ 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, დაწესებულებას ჰქონდა ყველა ის რესურსი, რომ მასაჟისტის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განეხორციელებინა ქ. ქუთაისში, ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევის №8-ში. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც და ასევე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულმა წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ: 204864548) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატალია ბარათელმა.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ დამატების მიზნით წარმოდგენილი იყო შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ვებ ინტერფეისის დეველოპერი (მესამე საფეხური); ვებ ინტერფეისის დიზაინერი (მესამე საფეხური); ვებ პროგრამისტი (მეხუთე საფეხური); პრაქტიკოსი ექთანი (მეხუთე საფეხური); ფარმაცევტის თანაშემწე (მეოთხე საფეხური); ბანკის მოლარე-ოპერატორი (მესამე საფეხური) და ბიბლიოთეკარი (მეოთხე საფეხური).

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნატალია ბარათელის განცხადებით, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური და ადამიანური რესურსი. აქვე აღნიშნა, რომ არც ერთ სტანდარტთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა და შესაბამისად დასკვნა იყო დადებითი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მოუწოდა, რომ განემარტათ რა იყო მიზანი 7 პროფესიული პროგრამის დამატების და ასევე რამდენი პროფესიული სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას ამ ეტაპზე.

ანზორ ბერიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შვიდივე პროფესიული პროგრამის მიმართ საზოგადოების მხრიდან იყო ძალიან დიდი დაინტერესება. დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 8000-ით ხოლო, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა იყო 700.

სათათბირო ხმის უფლებით საბჭოს სხდომაზე მოწვეულმა წევრმა მამია ჯანჯალიამგანაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაწესებულებას არც ერთ ისეთ დამსაქმებელ ორგანიზაციასთან არ ჰქონდა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რომელიც საშუალებას მისცემდა ვებ ინტერფეისის დეველოპერის, ვებ ინტერფეისის დიზაინერისა და ვებ პროგრამისტის პროფესიულ სტუდენტებს მიეღოთ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება. მამია ჯანჯალიას განცხადებით, მისი მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება პირდაპირ მიუთითებდა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისიწინებული მოთხოვნის დარღვევაზე. არსებულ საკითხთან დაკავშირებით მამია ჯანჯალიამ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა, რომ უფრო დეტალურად განემარტა საბჭოს წევრებისთვის არსებული გარემოება, რადგან დასკვნა იყო დადებითი. ნატალია ბარათელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებაში არსებობდა IT დეპარტამენტი, სადაც ვებ ინტერფეისის დეველოპერის, ვებ პროგრამისტის და ვებ ინტერფეისის

დიზაინერის პროფესიული პროგრამის სტუდენტები შეძლებდნენ პრაქტიკის გავლას. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, დაწესებულებას გარე ობიექტებთან ხელშეკრულების გაფორმება არ ჭირდებოდა.

საბჭოს წევრმა დავით აფრასიძემ სხდომაზე განაცხადა, რომ პრაქტიკის კომპონენტის არ არსებობის გამო, ვებ ინტერფეისის დეველოპერის, ვებ პროგრამისტის და ვებ ინტერფეისის დიზაინერის პროფესიული პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის არარსებობის გამო, ხარვეზი, მისი აზრით იყო არსებითი ხასიათის, თუმცა უკვირდა, თუ რატომ იყო დასკვნა დადებითი.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ აღნიშნულ პროფესიული პროგრამებისთვის არსებობდა სამი პრაქტიკული სახის მოდული, რომელთა განხორციელებაც სავალდებულო იყო. გაცნობითი პრაქტიკა და პრაქტიკული პროექტი თავისი არსით არ წარმოადგენდა ტრადიციულ პრაქტიკულ სამუშაოებს, რაც მოდულურ პროგრამებში დარგობრივ მოდულებში იყო გადანაწილებული, არამედ მიზნად ისახავდა რეალურ ბიზნეს-პროცესებს, მათ შორის საწარმოო სტრუქტურის, შინაგანაწესის, უსაფრთხოების და შიდასაწარმოო ურთიერთობების გაცნობას. ამისათვის სტუდენტი რეალურ პროგრამის სპეციფიკის შესაბამის საწარმოში/ორგანიზაციაში უნდა მოხვედრილიყო, რომ ადგილზე მიეღო პრაქტიკული გამოცდილება. კახაბერ ერაძემ საბჭოს წევრებს სთხოვა, გადაწყვეტილების მიღებადე დარწმუნებულიყვნენ, რომ ზემოთხსენებული მიზნები რამდენად იყო მიღწევადი უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ბაზაზე.

სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულმა წევრმა მაია ჩიხლაძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა არსებობდა თუ არა უნივერსიტეტში ცალკე გამოყოფილი პროფესიული ხარისხის სამსახური, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთ თანამშრომელს ჰქონდა დავალებული პროფესიული პროგრამების კოორდინირება.

მაია ჩიხლაძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა თუ რა იყო მიზანი ჯანდაცვის პროგრამების დამატების. დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა ქალაქ ბათუმში არსებულ საავადმყოფოებთან, შესაბამისად ჰქონდათ ინფრომაცია, რომ პრაქტიკოსი ექთანი და ფარმაცევტის თანაშემწე თითქმის არ არსებობდა. ანზორ ბერიძის განცხადებით, დამსაქმებლებისგან წამოსული ინიციატივების შედეგად გადაწყვიტა უნივერსიტეტმა ამ ორი პროგრამის დამატება.

საბჭოს თავმჯდომარემ მაგდა მაღრაძემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა სტუდენტთა კვოტების რაოდენობაზე.

ნატალია ბარათელის განცხადებით, კვოტები გადანაწილებული იყო შემდეგნაირად:

1. ვებ ინტერფეისის დეველოპერი (40 სავარაუდო სტუდენტი);
2. ვებ ინტერფეისის დიზაინერი (40 სავარაუდო სტუდენტი);
3. ვებპროგრამისტი (40 სავარაუდო სტუდენტი);
4. პრაქტიკოსი ექთანი (100 სავარაუდო სტდენტი);
5. ფარმაცევტის თანაშემწე (50 სავარაუდო სტუდენტი);
6. ბანკის მოლარე-ოპერატორი (40 სავარაუდო სტუდენტი);
7. ბიბლიოთეკარი (40 სავარაუდო სტუდენტი).

საბჭოს წევრების მოსზრებით, ვებ ინტერფეისის დეველოპერის, ვებ ინტერფეისის დიზაინერისა და ვებპროგრამისტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმების ან ხელშეკრულებების არარსებობა იყო არსებითი ხასიათის შენიშვნა და ამ პროგრამის სტუდენტები ვერ გავიდონენ ზემოაღნიშნული პროგრამებით გათალისწინებულ სწავლის შედეგებზე.

აღნიშნულის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე ცალ-ცალკე დააყენა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ვებპროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ვებ ინტერფეისის დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი .

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 1
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საბჭოს წევრმა: ნოდარ შურღაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი -7

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ბანკის მოლარე - ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 245428158) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	პრაქტიკოსი ექთანი	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (090552)	179	V	100	ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.35
2	ფარმაცევტის თანაშემწე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (090351)	137	IV	50	ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.35

3	ბანკის მოლარე-ოპერატორი	ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020455)	98	III	40	ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.35
4	ბიბლიოთეკარი	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (070852)	143	IV	40	ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ.12

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 15:06 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მაგდა მაღრაძე

მდივანი
თუთა ნარმანია